



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**THE USAID ECONOMIC  
SECURITY PROGRAM**

# სექტორების და ღირებულებათა ჯაჭვების ანალიტიკა

პირველი დიაგნოსტიკური ანგარიში



Research

**ISET**

International School of Economics at TSU  
Policy Institute

იანვარი 2021

## შეჯამება

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ეკონომიკური ტენდენციების ანალიზსა და არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების მიმოხილვას (ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში) ექვსი სექტორის წინასწარ შერჩეულ ღირებულებათა ჯაჭვებში. ანგარიშის მიზანია, გააუმჯობესოს მონაცემთა ანალიზსა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ანგარიშში გაანალიზებულია შემდეგი სექტორები: ტურიზმი, შემოქმედებითი ინდუსტრიები, მსუბუქი მრეწველობა, გაზიარებული ინტელექტუალური სერვისები, ნარჩენების მართვა და გადამუშავება და გამჭოლი (cross-cutting) სექტორები.

ანგარიშში შეჯამებულია 2014 წლიდან 2020 წლის მესამე კვარტლამდე არსებული ტენდენციები:

**ტურიზმი (განთავსება, სარესტორნო მომსახურება, სათავგადასავლო ტურიზმი, გასტრონომიული ტურიზმი და კულტურული ტურიზმი):** ანალიზმა აჩვენა, რომ ეს სექტორი გასული ათწლეულის განმავლობაში თითქმის ყველა მიმართულებით (მაგალითად, ტურისტების რაოდენობა და შემოსავლები) მნიშვნელოვნად ვითარდებოდა. უფრო კონკრეტულად, ბოლო ათწლეულში განსაკუთრებით გაიზარდა გასტრონომიული და კულტურული მიზნებით ჩამომსვლელ ვიზიტორთა რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ხშირად ტურისტები თბილისსა და ბათუმს სტუმრობდნენ, გაიზარდა ნაკლებად პოპულარული ადგილების ვიზიტორთა რაოდენობაც. იგივე ტენდენცია შეიმჩნეოდა სათხილამურო კურორტებზეც. ეს უკანასკნელი ორი შემთხვევა ვიზიტორთა რაოდენობის ექსპონენციალური ზრდისა და მასობრივი ტურიზმის გაჩენის შედეგია.

COVID-19-ის პანდემიისას ტურისტული სექტორი მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეჩერდა, რის გამოც რისკის ქვეშ დადგა უამრავი ტურისტული აქტივობისა და სანახაობის გადარჩენის საკითხი. ამ მხრივ, არც საქართველო ყოფილა გამონაკლისი. შეზღუდული რაოდენობის საერთაშორისო ვიზიტორების მიღებამ, რასაც 2020 წლის გარკვეულ პერიოდებში თან ახლდა მკაცრი შიდა შეზღუდვები, ქართული ტურიზმის სექტორის დიდი ნაწილი შემოსავლის გარეშე დატოვა. იქიდან გამომდინარე, რომ სარესტორნო მომსახურება მხოლოდ ტურიზმზე არ არის დამოკიდებული, შედარებით ნაკლებად შემცირდა, ვიდრე ტურიზმის სექტორის სხვა ღირებულებათა ჯაჭვები.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს რეგიონში როგორც ტურისტების რაოდენობამ, ისე ამ სფეროში მიღებულმა შემოსავლებმა, ყველაზე მეტად საქართველოში იკლო. ამჟამად, ზამთრის სეზონის ტურიზმის არარსებობის გამო, ტურისტული ბიზნესი ძირითადად საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით განსაზღვრულ დახმარების პაკეტებს ეყრდნობა, რომლებიც მიზნად ისახავს სექტორის გადარჩენასა და 2021 წლის ზაფხულში აღდგენას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტურიზმის ღირებულებათა ჯაჭვის მთავარი მონაწილეები (გასტრონომიული ტურიზმი, სათავგადასავლო და კულტურული ტურიზმი) ინარჩუნებენ სიძლიერეს, ბაზარი მაინც განადგურებულია. ამჟამინდელი ტენდენციები ცხადყოფს, რომ მასობრივი ტურიზმი შეიძლება რამდენიმე წლის განმავლობაში ვეღარ აღდგეს. მაგალითად, მარიოტის კორპორაციის აზრით, ბიზნესი 2019 წლის დონეს 2024 წლამდეც ვერ დაუბრუნდება. მართალია, COVID-19-ით განპირობებული გამოწვევები უზარმაზარია, მაგრამ საბოლოოდ, გლობალური ტურიზმის კვლავ გაცოცხლება

საქართველოს აძლევს მნიშვნელოვან შესაძლებლობას, თავისი ტურისტული მოდელი გარდაქმნას მასების მოზიდვაზე გათვლილი მიდგომიდან უფრო მცირე მოცულობისა და მაღალი ღირებულების მომხმარებლებზე. ამისათვის მან თავისი პროდუქტები და სერვისები უნდა მოარგოს უფრო გამოცდილ და „კვალიფიციურ“ ტურისტებს. აგრეთვე, ნაცვლად უბრალოდ მასშტაბური კამპანიის წამოწყებისა სლოგანით „გვეწვიეთ მარტო, გვეწვიეთ ყველა“, ის განსაკუთრებით უნდა ფოკუსირდეს ისეთ ქვეყნებზე, სადაც ზემოთ აღწერილი ტიპის მომხმარებელი ყველაზე მრავლად არის წარმოდგენილი. ყოველივე ეს კი მოითხოვს მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდეს პროდუქტების განვითარებაზე, მასპინძლობის ინდუსტრიაში უნარების გაუმჯობესებასა და მაღალი ღირებულების მომსახურების კულტურის დანერგვაზე.

პანდემიით გამოწვეული დაბრკოლებების გარდა, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე არსებული პოლიტიკური გამოწვევებიც (როგორცაა, მაგალითად, სომხეთისა და აზერბაიჯანის კონფლიქტი) ხელს უშლის საქართველოში ტურიზმის პანდემიის შემდგომ აღდგენასა და განვითარებას. ამასთანავე, ქვეყანას მნიშვნელოვნად დააბრკოლებს მასზე უფრო დიდი კონკურენტი ქვეყნები, რომლებიც შეეცდებიან, აღადგინონ საკუთარი ტურისტული ბაზრები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, აღდგენის პერიოდში საქართველოს ტურიზმის განვითარების ხედვა უნდა იყოს მკაფიო დამატებითი ღირებულების მქონე მომხმარებლებზე ორიენტირებული.

ქვეყნის ტურისტული მოდელის გარდაქმნის, მასობრივი მარკეტინგის ნაცვლად უფრო მცირე რაოდენობის, მაგრამ მაღალი ღირებულების ტურისტების მოზიდვისათვის საჭიროა როგორც სამოქალაქო და კერძო სექტორს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის გაუმჯობესება, ისე ქვეყნის ამჟამინდელი ტურისტული სტრატეგიის განახლება. ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ტურისტულ ინფრასტრუქტურაში ჩადებული ინვესტიციები და მდგრადი უნარების განვითარებისკენ მიმართული ინიციატივები. პანდემიის შესაძლო დადებითი ეფექტი ისაა, რომ იგი ცვლილებებს იწვევს. გლობალური მონაცემებიდან კი აშკარად ჩანს, რომ მცირე მასშტაბის, თუმცა, მაღალი ღირებულების ტურისტებზე ორიენტირებულმა მიდგომამ მომდევნო წლებში შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს ტურიზმის შემოსავლები, ქვეყანაში ტურისტების უფრო ხანგრძლივად დარჩენისა და მათ მიერ გაწეული გაზრდილი დანახარჯების საშუალებით.

**შემოქმედებითი ინდუსტრიები (მედია კონტენტის წარმოება, პოსტ წარმოება და არტიზანი).** შემოქმედებითი ინდუსტრიები 2017 წლიდან პანდემიამდე საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა, თუმცა, 2020 წლის პირველ ორ კვარტალში ამ სფეროს მნიშვნელოვნად შემცირების გამო, ეს ტენდენცია შემცირდა; რაც გულისხმობდა დამატებითი ღირებულების, დასაქმების, ბრუნვისა და პროდუქტიულობის ვარდნას. მიუხედავად ამისა, 2020 წლის მესამე კვარტალში საშუალო ხელფასი პანდემიამდელ დონეს აჭარბებდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოში განხორციელდა პროექტები, რომლებიც შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორში უფრო მაღალი ღირებულების სამუშაო ადგილებს ქმნის. მედია კონტენტის წარმოებისა და პოსტ წარმოების ღირებულებათა ჯაჭვი როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო დონეზე, მაღალკონკურენტუნარიანია. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ამჟამად ღირებულებათა ჯაჭვის საქმიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინვესტიციებზე, სუბსიდიებსა და სხვა სახის სტიმულებზე. ღირებულებათა ჯაჭვში იგივე დამოკიდებულება შეიმჩნეოდა 2017 წლამდეც, როცა ამ სფეროში ინვესტიციების ნაკლებობა მის გაფართოებას ზღუდავდა. ინვესტიციების შემდგომმა ნაკადმა კი სექტორს საშუალება მისცა, მდგრადი ზრდისათვის მიეღწია, რაც ზედიზედ ორი წლის განმავლობაში გაგრძელდა. კინოს წარმოებისა და პოსტ წარმოების ინდუსტრიის წარმომადგენლებს იმედი

აქვთ, რომ განახლდება თანხის უკან დაბრუნების პროგრამა, რომელიც 2019 წელს მასში ცვლილებების შეტანის მიზნით შეჩერდა. ასეთი სახის წახალისებები, რომლის მსგავსსაც მსოფლიოს მასშტაბით უამრავი ქვეყანა სთავაზობს ამ ინდუსტრიაში მოქმედ კომპანიებს, პანდემიისგან მიყენებული ზარალის შესამსუბუქებლად კრიტიკული მნიშვნელობისაა. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნულ ღირებულებათა ჯაჭვებზე COVID-19 პანდემიას განსხვავებული ეფექტი აქვს - ყველაზე ნაკლები ზიანი პოსტ წარმოებას მიადგა, რადგან მისი სპეციფიკა საშუალებას იძლევა საქმიანობა დაუბრკოლებლად გაგრძელდეს პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების პირობებშიც. თუმცა, გლობალური რეცესიის ფონზე მოთხოვნა პოსტ წარმოებაზე მაინც შემცირდა. ასევე, აღსანიშნავია, რომ პანდემიამ ამ სფეროში შეამცირა დანახარჯები და გაზარდა პროდუქტიულობა, რადგან პოსტ წარმოების პროცესი (მაგალითად, ხმისა და ვიდეოს მონტაჟი) სამუშაო ადგილზე ყოფნას არ საჭიროებს, რის გამოც ბევრ ხელოვანს სახლიდან ეფექტურად მუშაობის საშუალება მიეცა. ამის საპირისპიროდ, მედია კონტენტის წარმოებისათვის კი აუცილებელია ადამიანთა შეკრება, რაც პანდემიის გამო შეზღუდული იყო. მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების ყველა ზომა იქნა მიღებული და კომენდანტის საათის პერიოდში მუშაობის ნებართვაც გაიცემოდა შესაბამისი სამსახურების მიერ, ინდუსტრიისათვის ამგვარი შეზღუდვები მაინც მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. ეს პრობლემა კიდევ უფრო გაამწვავა ზემოთ აღნიშნული თანხის უკან დაბრუნების პროგრამის შეწყვეტამაც.

სახელოსნო წარმოების ღირებულებათა ჯაჭვში ე.წ. “ლოქდაუნმა” სტანდარტული გაყიდვის არხები შეაჩერა, გაზარდა ტრანსპორტირების ხარჯი და საჭირო გახადა ბიზნესმოდელის იმგვარად გარდაქმნა, რომელთანაც ადაპტირება ბევრმა ინდივიდუალურმა მეწარმემ ვერ შეძლო. ამ პროცესში ჩართული მხარეების გამოკითხვის თანახმად, მწარმოებელი კომპანიების 45.5%-ის ბრუნვა 50%-ზე მეტით შემცირდა. რესპონდენტების მხოლოდ 9%-მა აღნიშნა, რომ 2020 წლის პირველ სამ კვარტალში მათი ბრუნვა გაიზარდა. საერთაშორისო ტენდენციები აჩვენებს, რომ სწორი სამართლებრივი/მარეგულირებელი და წამახალისებელი გარემოს არსებობის პირობებში, გამოცდილი სამუშაო ძალისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემთხვევაში, შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორს ჯერ კიდევ შეუძლია, წარმოების ფაქტორებზე დაფუძნებული ეკონომიკიდან ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს.

**მსუბუქი მრეწველობა (ავიჯი, შესაფუთი მასალები, სამშენებლო მასალები, პერსონალური და დამცავი აღჭურვილობა და ხის სათამაშოები):** მსუბუქი მრეწველობის ღირებულებათა ჯაჭვებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები შეიმჩნევა. მაშინ, როდესაც ზოგიერთ ღირებულებათა ჯაჭვი განვითარების საწყის სტადიაზეა, სხვები საქართველოში უკვე კარგად ნაცნობი და განვითარებული ეკონომიკური აქტივობებია. ისინი აგრეთვე განსხვავდებიან ინვესტიციების, გაყიდვების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით - ჯერ-ჯერობით მხოლოდ ავეჯის და შესაფუთი მასალების წარმოებას გააჩნია მსოფლიო მასშტაბით გაფართოების პოტენციალი. ჩვენ მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, გაანალიზებული ეკონომიკური მაჩვენებლები გარკვეულწილად ანალოგიურ ტენდენციებს ავლენს ზემოთ ჩამოთვლილი ღირებულებათა ჯაჭვებში. 2020 წლისათვის, მიზნობრივ ღირებულებათა ჯაჭვებში მოქმედი საწარმოების უმეტესობა საკმაოდ მცირე ზომის იყო და თბილისს გარეთ მდებარეობდა. 2014-2019 წლებში ყველა მიზნობრივ ღირებულებათა ჯაჭვში შეინიშნებოდა ბრუნვის და პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვანი ზრდა.

„წარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში მსუბუქი მრეწველობის თითქმის ყველა



ღირებულებათა ჯაჭვი პრიორიტეტადაა აღებული ბიზნესის განვითარების, ექსპორტის წახალისების და/ან ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ღირებულებათა ჯაჭვებში მოქმედ საწარმოებს შეუძლიათ ისარგებლონ მათთვის შეთავაზებული მრავალფეროვანი ფინანსური და ბიზნესის განვითარების სერვისებით. თუმცა, მსუბუქი მრეწველობის დარგი უკვე მრავალი წელია, ისეთი გამოწვევების წინაშე დგას, რომლებიც აყოვნებენ მის განვითარებას. ესენია ფინანსებზე წვდომის ნაკლებობა, კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი, იმპორტირებულ ნედლეულზე დამოკიდებულების მაღალი დონე და ადგილობრივ მასალებზე შეზღუდული წვდომა.

COVID-19-მა ამ სფეროში არსებული თითქმის ყველა ღირებულებათა ჯაჭვი საგრძნობლად დააზარალა, გარდა პერსონალური და დამცავი აღჭურვილობის წარმოებისა, რომელზე მოთხოვნაც საგრძნობლად გაიზარდა პანდემიის პერიოდში. თუმცა, გლობალური მიწოდების გაზრდის გამო, შესაძლოა, ეს უპირატესობაც დაიკარგოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ მოთხოვნა ასეთ პროდუქციაზე ნელ-ნელა შემცირდება.

**მყარი ნარჩენების მართვა და გადამუშავება:** მყარი ნარჩენების მართვა და გადამუშავება საქართველოსათვის შედარებით ახალი ეკონომიკური აქტივობაა. მიუხედავად ამისა, გარკვეული ტიპის ნარჩენების გადამუშავების პრაქტიკა ქვეყანაში უკვე დიდი ხანია არსებობს. ამჟამად, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვისა და გადამუშავების სექტორი აერთიანებს ისეთ ბიზნეს აქტივობებს, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის ნარჩენების გადამუშავებასთან, მათ შორისაა პლასტმასი, ქაღალდი/მუყაო, ხე, მეტალი, მინა, გამოყენებული საწვავი, ცვეთამდეგი საბურავები, მანქანები, ელექტრო და ელექტრონული აღჭურვილობა, ბატარეა, აკუმულატორები და სახიფათო ნარჩენები.

ძირითადი გამოწვევები, რომლებთანაც ამ სფეროში ღირებულებათა ჯაჭვის წარმომადგენლებს უწევთ დაპირისპირება, ჰომოგენურია. იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად ეს ჯაჭვი წარმოების მთელი თავისი შესაძლებლობით არ ფუნქციონირებს, მას განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. მწარმოებლები მუდმივად აწყდებიან ისეთი ტიპის ნარჩენების დეფიციტს, რომლებიც წარმოების პროცესში ნედლეულად გამოიყენება. ამ მხრივ, ეროვნულ დონეზე მთავარ დაბრკოლებად მიიჩნევა ის, რომ არ არსებობს ნარჩენების დახარისხების პრაქტიკა. საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ეკო-მეგობრული და გამართული ნარჩენების მართვის სისტემის შესაქმნელად. მაგალითად, 2015 წელს მიღებულ იქნა საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი (ნმკ), რომლითაც მუნიციპალიტეტებისათვის მუნიციპალური ნაგვის შეგროვება სავალდებულო გახდა, ისევე, როგორც ნაგვის დახარისხების პრაქტიკის ნელ-ნელა შემოტანა და დანერგვა. ნმკ-ის განხორციელება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. შედეგად, სხვადასხვა სახის ნარჩენების გადამუშავებაზე მომუშავე ბიზნესები ქვეყნის მასშტაბით ერთმანეთს კონკურენციას უწევენ ხელმისაწვდომ ნარჩენების რესურსებზე. უფრო მეტიც, ზოგიერთ კომპანიას მუნიციპალურ ნაგავსაყრელზეც კი არ აქვს წვდომა, რათა წარმოებისათვის საჭირო ნარჩენების მიღება შეძლოს.

სექტორი განიცდის უცხოური და ქართული ინვესტიციების ნაკლებობას. ქართველი ინვესტორები ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული პროექტების დაფინანსებისაგან უმეტესად იმის გამო იკავებენ თავს, რომ არ არიან კარგად გათვითცნობიერებულნი ასეთ ბიზნეს აქტივობებში. მომავალი საინვესტიციო ნაკადები, სავარაუდოდ, დამოკიდებული იქნება სექტორთშორისი ნარჩენების ორგანიზებულ შეგროვებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი დამოკიდებული იქნება იმ მარაგზე, რომლის უმეტესი ნაწილიც

დღესდღეობით ან ქვეყნის გარეთ გაედინება საწარმოებლად, ან ნაგავსაყრელებზე უჩინარდება.

სექტორში გამოყენებული მასალების მხოლოდ მცირე ნაწილია იმპორტირებული. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, წარმოება ძირითადად ადგილობრივად წარმოქმნილ ნარჩენებს ეყრდნობა. მეზობელი ქვეყნებიდან ნარჩენების იმპორტი მასშტაბების გაზრდის შესაძლებლობას იძლევა, თუმცა, ასეთი პრეცედენტი ჯერ არ არსებობს.

**გაზიარებული ინტელექტუალური მომსახურება (ფინანსები და ბუღალტერია, არქიტექტურა, დიზაინი და ინჟინერია, მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი და ადამიანური რესურსების მართვა):** საქართველოში მოქმედი გაზიარებული ინტელექტუალური მომსახურების მიმწოდებლებს წარმოადგენენ ისეთი კომპანიები, როგორცაა: Majorel, Evolution Gaming, CMX Solutions, Base 4, SellTech, Shaw Academy, Sweeft, FSP Global და სხვები. აღნიშულ სექტორში მოღვაწე კომპანიების ძირითად ბაზრებს წარმოადგენს დასავლეთ ევროპა, რომელსაც მოჰყვება აღმოსავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა, იტალია და თურქეთი.

საქართველოში გაზიარებული ინტელექტუალური მომსახურების (შემდგომში, SIS) სფერო განვითარების ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზეა. თუმცა, სხვადასხვა უპირატესობის გამო, კერძოდ, ადგილმდებარეობის, დაბალი ანაზღაურების, ხელსაყრელი საგადასახადო სტიმულირების სისტემების, უმუშევარი ახალგაზრდების სიმრავლისა და საჯარო სექტორის დახმარებით უკანასკნელ წლებში ეს სექტორი მნიშვნელოვნად იზრდება. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, განსაკუთრებით, ინვესტიციების დეპარტამენტი, რომელიც უცხოური პირდაპირი ინვესტიციების (FDI) მოზიდვაზეა ფოკუსირებული, აქტიურად უჭერს მხარს SIS-ის განვითარებას. მიუხედავად საქართველოს მთავრობის მხარდაჭერისა და ყველა არსებული უპირატესობებისა, ამ სექტორში მოქმედ კომპანიებს მაინც უწევთ ისეთ მნიშვნელოვან გამოწვევებთან დაპირისპირება, როგორცაა:

(1) კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა - მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბევრი უმაღლესი და პროფესიული სასწავლებელი უზრუნველყოფს SIS-თან დაკავშირებულ პროფესიონალურ კურსებს, არსებული უნარების დონე მაინც მოთხოვნილ სტანდარტზე უფრო დაბალია, იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვა შეძლოს. ამასთანავე, როგორც წესი, კურსდამთავრებულებს მუშაობის დაწყებამდე დამატებითი ტრენინგი სჭირდებათ, რადგან მათ უნივერსიტეტი მხოლოდ თეორიულ ცოდნას აძლევს.

(2) ინტერნეტის დაბალი ხარისხი და ელექტროენერგიით არასათანადო მომარაგება, რაც SIS-ის სექტორის რეგიონულ განვითარებას ზღუდავს.

(3) მაღალი კლასის საოფისე ფართების ნაკლებობა - მთავრობის წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს საკითხი ამ სექტორში მოღვაწე კომპანიებისათვის განსაკუთრებით აქტუალური ბათუმის, ქუთაისის და თბილისის გარეთ არსებულ ტერიტორიაზეა. ჩვეულებრივ, საოფისე ფართები არაა მორგებული კომპანიების საჭიროებებს და ხშირად არც ფასები ასახავენ ხარისხს.

(4) საქართველოს, როგორც SIS-ების მიმწოდებელი ქვეყნის, არასაკმარისი ცნობადობა მულტინაციონალურ კომპანიებში - მთავრობის წარმომადგენლებმა ასევე ხაზი გაუსვეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქართული კომპანიებისათვის მათი ცნობადობისა და სანდოობის გაზრდა საერთაშორისო SIS ფირმებს შორის. SIS ფირმებზე COVID-19-ით შექმნილმა მდგომარეობამ შედარებით ნაკლებად იმოქმედა. ბევრმა ქართულმა კომპანიამ

თავისი საქმიანობა გადააწყობ და გლობალური ელექტრონული კომერციის მომხმარებლებისკენ მიმართა. უფრო მეტიც, პანდემიამ SIS-ის სექტორისათვის ისეთი მიმართულებებს გაუხსნა გზა, რომელიც ადრე საქართველოში არ იყო განვითარებული, მაგალითად, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აუთსორსინგი. ამ სექტორს საქართველოში შეუძლია გაფართოება, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გარდაქმნის სტრატეგიას, გააუმჯობესებს სამართლებრივ გარემოს, სამუშაო ძალის კვალიფიკაციასა და ღირებულებებს.

**გამჭოლი სექტორები (ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ელექტრონული ვაჭრობა):** უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში გამჭოლი სექტორები მნიშვნელოვნად გაფართოვდა, თუმცა, სტაბილური ზრდა ღირებულებათა ჯაჭვების უმეტესობაში, განსაკუთრებით კი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა (ICT) და ელექტრონული ვაჭრობაში, ჯერ კიდევ არ შეინიშნება. ამ სექტორის გაფართოების მთავარი მამოძრავებელი ძალა შიდა მოთხოვნის ზრდა და ტექნოლოგიური მიღწევებია. მოთხოვნის ზრდის აჩქარების პარალელურად, კომპანიებს ისეთ გამოწვევებთან მოუხდათ დაპირისპირება, რომლებიც დღემდე გადაუჭრელი რჩება. იმისათვის, რომ გამჭოლმა სექტორმა ზრდის შთამბეჭდავი მაჩვენებელი შეინარჩუნოს, აუცილებელია მარეგულირებელი ჩარჩოს (ელექტრონულ ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის) გაუმჯობესება, უსაფრთხო გადახდის საშუალებებზე (PayPal-ისა და Stripe-ის მსგავსი), შესაბამის კვალიფიკაციაზე და სესხებსა და ინვესტიციებზე წვდომის გაზრდა.

სექტორების შემცირების ყველაზე მწვავე მიზეზად ინვესტიციების ნაკლებობა განიხილება. ეს პრობლემა განსაკუთრებით ICT-ის ღირებულებათა ჯაჭვს ეხება. მართალია, 2016 და 2018 წლებში ამ სფეროში ინვესტიციების დონე მაღალი იყო, მაგრამ 2019 წელს ბრუნვის ზრდა შეჩერდა და დამატებითი ღირებულება შემცირდა. ამასთან, ღირებულებათა ჯაჭვის გაფართოებას აბრკოლებს დასაქმების ნაკლებობაც, რაც ძირითადად არაკვალიფიციური სამუშაო ძალითა და ამ სფეროსადმი ქალების ნაკლები ინტერესითაა გამოწვეული. ქართული ICT მოწყობილობების, ისევე, როგორც სატრანსპორტო და ლოჯისტიკური სერვისების ექსპორტი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხდება, თუმცა, 2020 წელს პანდემიის გამო ვაჭრობა ამ ღირებულებათა ჯაჭვებში საგრძნობლად შემცირდა.

რესპონდენტების განცხადებით, გლობალური ICT საწარმოები აქტიურად ცდილობენ, შეაკავონ სამუშაოს ის რაოდენობა, რომელიც საქართველოს მსგავს ქვეყნებში შესაძლოა შესრულდეს აუთსორსინგის საშუალებით, შედეგად კი ადგილობრივად წარმოებული ICT ადჭურვილობის ექსპორტი ნელ-ნელა მცირდება. გარდა ამისა, საქართველოს კერძო სექტორში საქმიანობების გაციფრულების მზარდი მოთხოვნის გამო, ICT ღირებულებათა ქსელის ზრდამ, შესაძლოა, 2017 და 2018 წელს უკვე მიაღწია თავის უმაღლეს ნიშნულს. ამ სფეროს ღირებულებათა ჯაჭვი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საქართველოს მთავრობის მოთხოვნაზე. ეს უკანასკნელი კი წლიდან წლამდე მცირდება, რადგან მთავრობის მოთხოვნა იმპორტირებულ ICT პროდუქტებზე იზრდება.

პანდემიამ ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის ღირებულებათა ჯაჭვებზეც მსგავსი გავლენა მოახდინა - სატრანსპორტო სერვისების ექსპორტი მკვეთრად შემცირდა. 2020 წლის მეორე და მესამე კვარტალში საჰაერო სატრანსპორტო მომსახურება ფაქტობრივად არ არსებობდა. თუმცა, პანდემიას უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია ზღვის, სარკინიგზო და საგზაო ტრანსპორტით ექსპორტის სერვისებზე, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მილსადენებისა და ელექტროენერჯის გადაცემის სერვისებზე. სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და

უკრაინისგან განსხვავებით (სადაც ექსპორტში უმეტესი წილი საზღვაო და საჰაერო გადაზიდვებს უჭირავს), საქართველოში ისინი არადომინანტური საშუალებებია. მიუხედავად იმისა, რომ სარკინიგზო და მილსადენის სერვისები გლობალური კრიზისებისადმი ნაკლებად მგრძობიარეა, ზემოთ აღნიშნული დაკვირვება იმასაც ავლენს, რომ საქართველოს საექსპორტოდ საზღვაო და საჰაერო სერვისების მაქსიმალურად ათვისება ჯერ არ მოუხდენია.

ელექტრონული ვაჭრობის ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევი 2017 წელს იყო, როდესაც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებამ, ხელსაყრელმა მარეგულირებელმა ჩარჩომ და წინასწარი გადახდის სისტემების დანერგვამ სექტორს გაფართოების საშუალება მისცა. პანდემიის პერიოდში ეკონომიკის ელექტრონულ ვაჭრობაზე დამოკიდებულება გაძლიერდა. თუმცა, გამოკითხული რესპონდენტების მიხედვით, ისეთი პრობლემები, როგორცაა არაეფექტური სამართლებრივი ჩარჩო, გადახდის უსაფრთხო საშუალებების ნაკლებობა, ელექტრონული ვაჭრობის პლატფორმების შექმნის მაღალი ხარჯები და მაღალი კონკურენცია საერთაშორისო ბაზარზე, ჯერ კიდევ აქტუალურია. საქართველოში ამ სფეროს გაფართოებას მწვავე გლობალური კონკურენციაც უშლის ხელს და ართულებს მომგებიან ნიშნულამდე მისვლას. მიუხედავად ამისა, მონაცემების გაანალიზება იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ საქართველოს აქვს ამ ღირებულებათა ჯაჭვში განვითარების პერსპექტივა, თუ იგი შექმნის შესაბამის სამართლებრივ გარემოს, კვალიფიციურ სამუშაო ძალას და ICT ინფრასტრუქტურას.